



ლევან სამხარაულის სახელობის  
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო  
LEVAN SAMKHARALI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ .....

5001754414

201 წ.

22/04/2014



5001754414

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და  
ლტოლვილთა მინისტრის პირველ მოადგილეს ბატონ  
გოგი ფაცაცას

ბატონო გოგი, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2014 წლის 10 აპრილის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1002220714) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N001992914 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 60 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური  
ბიუროს უფროსი

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის ბაზა №84

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia

ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5

5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia

ბათუმი 6000, კუშკინის ქ. №145

145 Pushkini str. Batumi., Georgia

(995 32) 225 84 84

(995 32) 229 05 24

info@forensics.ge

(995 431) 21 30 03

info@forensics.ge

(995 492) 27 94 30

info@forensics.ge



001992914

ექსპერტის დასკვნა № 001992914

**გაფრთხილება**

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომდეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმმარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

**ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი**

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

**დამნიშნავი :**

სტრუქტურა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

ქვესტრუქტურა:

თანამდებობა: მინისტრის პირველი მოადგილე

მისამართი: თამარაშვილის ქ. 15ა

სახელი და გვარი: გოგი ფაცაცია

საფუძველი: განცხადება

**შემსრულებელი ექსპერტები :**

ალექსანდრე კაიფანჯიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომდეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომდეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.

**ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები**

გთხოვთ, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში მდებარე მოქალაქე ელგუჯა დევდარიანი, ჯემალი გუჯეჯიანი, ვალერი ცენდელიანი, იბრაგიმი ქოჩქიანი, იაშა მარგველიანი, ჯილდა კალანდია, მარო გუჯეჯიანი, მერაბი ქალდანი და მარინა გიუაშვილის საცხოვრებელ სახლებს ჩაუტაროთ ექსპერტიზა შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

შემოსვლის თარიღი: 10.04.2014წ

გასვლის თარიღი: 22.04.2014წ

**დასკვნა**

თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში მდებარე მოქალაქე ელგუჯა დევდარიანი, ვალერი ცენდელიანი, იაშა მარგველიანი, ჯილდა კალანდია, მარო გუჯეჯიანი, მერაბი ქალდანი და მარინა გიუაშვილის საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელია. საჭიროა შენობებს ჩაუტარდეს გამაგრებითი სამუშაოები წინასწარ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტების მიხედვით. იბრაგიმ ქოჩქიანისა და ჯემალი გუჯეჯიანის საცხოვრებელი სახლები იმყოფებიან მწვავედ ავარიულ მდგომარეობაში და ესაჭიროება დაუყოვნებლივ გამაგრება-გამლიერებითი ღონისძიებების ჩატარება წინასწარ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით. გამლიერებითი სამუშაოების დასრულებამდე რეკომენდებულია მაცხოვრებელთა ევაკუაცია.

ალექსანდრე კაიფანჯიანი



001992914

### გამოკვლევა

ჩვეს მიერ ჩატარებული იქნა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში მდებარე ელგუჯა დევდარიანი, ჯემალი გუჯეჯიანი, ვალერი ცინდელიანი, იბრაგიმი ქოჩქიანი, იაშა მარგველიანი, ჯილდა კალანდია, მარო გუჯეჯიანი, მერაბი ქალდანი და მარინა გიუაშვილის საცხოვრებელი სახლების ვიზუალური დათვალიერება ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით. მათი აღწერილობა ქვევით მოყვანილია ცალკეადა:

ელგუჯა დევდარიანი (პ/ნ 62004019222) - საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ორსართულიან უსარდაფო შენობას (ფოტო 1). პირველი სართულის იატაკი განლაგებულია მიწის დონეზე. მზიდი კედლები შესრულებულია ბაზალტის ქვის წყობით, სისქით 50-60 სმ, ხოლო ვერანდის ნაწილი ამოშენებულია ბეტონის ბლოკებით სისქით 20 სმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ეზოს მხრიდან მთავარ ფასადზე მოწყობილია რკინაბეტონის მონოლითური გადახურვის ფილა, რომელიც ერთ მხარეს დაყრდნობილია ლითონის ჩარჩოზე, ხოლო მეორე მხარეს ჩამაგრებულია შენობის კედელში (ფოტო 2). ვიზუალური დათვალიერებისას შენობას აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის ხარვეზები და დაზიანებები: მზიდი კედლების ქვის წყობაში შემავსებლად გამოყენებულია დაბალი სიმტკიცის მასალა, რომელიც ადვილად იშლება და ვერ ასრულებს შემაკავშირებლის ფუნქციას (ფოტო 3); მზიდ კედლებში გაჩენილია 0,1-0,6 სმ გახსნილობის ბზარები (ფოტო 4-6); შენობის ირგვლივ არ არის მოწყობილი შემონაკირწყლი (ფოტო 7-8); ეზოში მოწყობილი რკინაბეტონის გადახურვა ძლიერ დაზიანებულია, ქვევით მთლიანად მოშლილია ბეტონის დამცავი შრე, ხოლო არმატურები კოროზირებულია (ფოტო 9), გადახურვის ფილის მზიდ კედელში ჩამაგრების კვანძი სუსტია და ქმნის ფილის ჩამოვარდნის საფრთხეს (ფოტო 10); სახურავის ხის კონსტრუქციები ნაწილობრივ დაზიანებულია და საჭიროებს გამოცვლას (ფოტო 11); ლოკალურად დაზიანებულია სახურავის ფენილი და აპარებს წყალს (ფოტო 12-13); შენობის კედლებზე არ არის მოწყობილი სარტყელი (ფოტო 14). ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. საჭიროა შენობას ჩაუტარდეს დეტალური გამოკვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ჩაუტარდეს გამაგრება-გამლიერებითი სამუშაოები.

ჯემალი გუჯეჯიანი (პ/ნ 62005002236) - საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ორსართულიან უსარდაფო შენობას (ფოტო 15-16). ეზოს მხრიდან პირველი სართულის იატაკი განლაგებულია მიწის დონეზე, ხოლო ქუჩის მხრიდან პირველი სართული მთლიანად მიწის ქვეშ არის მოქცეული. მზიდი კედლები შესრულებულია ბაზალტის ქვის წყობით, სისქით 50-60 სმ, ხოლო ვერანდის ნაწილი ამოშენებულია ბეტონის ბლოკებით სისქით 20 სმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. სახურავი ოთხქანობიანია და შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ვიზუალური დათვალიერებისას შენობას აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის ხარვეზები და დაზიანებები: მზიდი კედლების ქვის წყობაში შემავსებლად გამოყენებულია დაბალი სიმტკიცის მასალა, რომელიც ადვილად იშლება და ვერ ასრულებს შემაკავშირებლის ფუნქციას (ფოტო 17); მზიდ კედლებში გაჩენილია 0,2-1,2 სმ გახსნილობის ბზარები (ფოტო 18-21); მეორე სართულზე ასასვლელი კიბე მოცილებულია შენობის კედელს (ფოტო 22), ხოლო მისი საყრდენი ქვის კედელი დეფორმირებულია და გამოსულია სიბრტყიდან (ფოტო 23); პირველ სართულზე ვერანდის ამოშენებული კედელი ჩამონგრეულია (ფოტო 24); მზიდ კედლებზე არ არის მოწყობილი რკინაბეტონის სარტყელი; ვერანდის რკინაბეტონის მონოლითური გადახურვის ფილა ძლიერ დაზიანებულია, ბეტონის დამცავი შრე მოშლილია და არმატურები კოროზირებულია (ფოტო 25-26). ვინაიდან ვერანდის გადახურვა იმყოფება მწვავედ ავარიულ მდგომარეობაში და მისი ექსპლუატაცია არ არის უსაფრთხო, აუცილებელია სასწრაფოდ მისი გაძლიერება დროებითი კონსტრუქციებით. სახურავი ლოკალურად დაზიანებულია და მასში იჟონება წვიმის წყალი (ფოტო 27). გადახურვის ხის კოჭები ჩამოღუნულია (ფოტო 28). შენობის ირგვლივ არ არის მოწყობილი შემონაკირწყლი (ფოტო 29-30); ეზოში მდებარე ფარდულის ტიპის დამხმარე ნაგებობის (ფოტო 31) მზიდი ხის კონსტრუქციები და კვანძები დაზიანებულია (ფოტო 32-33) და მოითხოვს აღდგენა-გამაგრებას. ასევე დაზიანებულია ეზოში ქვის დამხმარე ნაგებობა (ფოტო 34), ქვის წყობის კედლები ლოკალურად იშლება (ფოტო 35-36), ირგვლივ არ არის მოწყობილი შემონაკირწყლი (ფოტო 37). ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. საჭიროა შენობას ჩაუტარდეს დეტალური გამოკვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ჩაუტარდეს გამაგრება-გამლიერებითი სამუშაოები. ვერანდის გადახურვა იმყოფება მწვავედ ავარიულ მდგომარეობაში და მისი ექსპლუატაცია არ არის უსაფრთხო. აუცილებელია სასწრაფოდ მისი გაძლიერება დროებითი კონსტრუქციებით. ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობები დაზიანებულია და საჭიროებს გაძლიერებას.

ვალერი ცინდელიანი (პ/ნ 62004024061) - საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ორსართულიან უსარდაფო შენობას (ფოტო 38). მზიდი კედლები შესრულებულია ბაზალტის ქვის წყობით, სისქით 60-70 სმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. სახურავი ოთხქანობიანია და შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ვიზუალური დათვალიერებისას შენობას აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის ხარვეზები და დაზიანებები: მზიდი კედლებში გაჩენილია 0,2-0,6 სმ გახსნილობის ბზარები (ფოტო 39-42); ეზოს მხრიდან მზიდ კედელში ფანჯრების ძირის დონეზე გაჩენილია ჰორიზონტალური გამჭოლი ბზარები (ფოტო 43-44); მეორე სართულზე ასასვლელი ლითონის კიბე მოცილებულია შენობის კედელს (ფოტო 45); კიბის ზონაში ამოშენებული ქვის კედელი გადახრილია და მოცილებულია არსებულ კედელს, მათ შორის გაჩენილია 2 სმ გახსნილობის გამჭოლი ვერტიკალური ბზარი (ფოტო 46-47); მეორე სართულზე ხის იატაკი დახრილია და სიარულის დროს მკვეთრად იგრძნობა ვიბრაციები; აივნის მონოლითური რკინაბეტონის ფილა დაზიანებულია, ქვევით მოშლილია ბეტონის დამცავი შრე



001992914

და არმატურები კოროზირებულია (ფოტო 48-49); მზიდ კედლებზე არ არის მოწყობილი რკინაბეტონის სარტყელი; შენობის ირგვლივ დაზიანებულია ბეტონის შემონაკირწყელი (ფოტო 50). ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. საჭიროა შენობას ჩაუტარდეს დეტალური გამოკვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ჩაუტარდეს გამაგრება-გამლიერებითი სამუშაოები.

იბრაგიმი ქოჩქიანი (პ/ნ 62004019770) - საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ორსართულიან უსარდაფო შენობას (ფოტო 51). მზიდი კედლები შესრულებულია ბაზალტის ქვის წყობით, სისქით 50-60 სმ, ხოლო ვერანდის ნაწილი ამოშენებულია ბეტონის ბლოკებით სისქით 20 სმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. სახურავი ოთხქანობიანია და შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ვიზუალური დათვალიერებისას შენობას აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის ხარვეზები და დაზიანებები: მზიდი კედლები ძლიერ დაზიანებულია და დეფორმირებულია (ფოტო 52-56); მზიდი კედლების ქვის წყობაში შემავსებლად გამოყენებულია დაბალი სიმტკიცის მასალა, რომელიც ადვილად იშლება და ვერ ასრულებს შემაკავშირებლისფუნქციას (ფოტო 57); მეორე სართულის იატაკები დახრილია; პირველ სართულზე ვერანდის ზონაში ამოშენებული ქვის კედელი გადახრილია და მოცილებულია არსებულ კედელს, მათ შორის გაჩენილია 2 სმ გახსნილობის გამჭოლი ვერტიკალური ზხარი, ბლოკის კედელი ძლიერ დაზიანებულია და არ არის ჩამაგრებული ზედა სიბრტყეში (ფოტო 58-59), შესაბამისად კედლის ჩამოვარდნა-ჩამონგრევის საფრთხეს ქმნის; ქუჩის მხრიდან ამოშენებული კედლები დეფორმირებულია და გამოსულია სიბრტყიდან (ფოტო 60-61), მოცილებულია ძირითადი კედლებიდან და მათ შორის გაჩენილია ნაპრალები; ეზოში მდებარე ავტოფარეხის ქვის მზიდი კედლები ნაწილობრივ ჩამონგრეულია (ფოტო 62-63) და მობინადრის მიერ რკინაბეტონის გადახურვის ქვეშ მოწყობილია დროებითი ხის საყრდენი დგარები (ფოტო 64-65). ამ მდგომარეობაში ავტოფარეხის სათავსოს ექსპლუატაცია საფრთხეს წარმოადგენს; ვერანდის მონოლითური რკინაბეტონის გადახურვა დაზიანებულია, ბეტონის დამცავი შრე მოშლილია, არმატურები და ლითონის კოჭები ძლიერ კოროზირებულია (ფოტო 66-68); აბაზანის სათავსოს კედლები და გადახურვა ძლიერ დაზიანებულია და მისი ექსპლუატაცია საფრთხეს წარმოადგენს; შენობის ირგვლივ დაზიანებულია ბეტონის შემონაკირწყელი; მზიდ კედლებზე არ არის მოწყობილი რკინაბეტონის სარტყელი; პირველი სართულის კედლები, რომელიც მოქცეულია მიწის ქვეშ წყლით არიან გაჯერებული (ფოტო 69-70). ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სახლი იმყოფება მწვავედ ავარიულ მდგომარეობაში და მოითხოვს დაუყოვნებლივ გამაგრება-გამლიერებითი ღონისძიებების ჩატარებას წინასწარ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით. გამლიერებითი სამუშაოების დასრულებამდე რეკომენდებულია მაცხოვრებელთა ევაკუაცია.

იამა მარგველიანი (პ/ნ 62004022073); კალანდია ჯილდა (პ/ნ 62003013617) - საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ორსართულიან უსარდაფო შენობას (ფოტო 71). პირველი სართულის მზიდი კედლები აშენებულია ბაზალტის ქვის წყობით სისქით 60 სმ, ხოლო მეორე სართულზე კედლები აშენებულია ბეტონის ბლოკების, აგურის და ქვის წყობით სისქით 40 სმ (ფოტო 72-73). გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. სახურავი შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ვიზუალური დათვალიერებისას შენობას აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის ხარვეზები და დაზიანებები: მზიდ კედლებში გაჩენილია 0,4-1,6 სმ გახსნილობის დახრილი ზხარები (ფოტო 74-79); აივნის მონოლითური რკინაბეტონის ფილა დაზიანებულია, ქვევიდან მოშლილია ბეტონის დამცავი შრე და არმატურები კოროზირებულია (ფოტო 80-81); მზიდ კედლებზე არ არის მოწყობილი რკინაბეტონის სარტყელი; შენობის ირგვლივ არ არის მოწყობილი ბეტონის შემონაკირწყელი (ფოტო 82). ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. საჭიროა შენობას ჩაუტარდეს დეტალური გამოკვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ჩაუტარდეს გამაგრება-გამლიერებითი სამუშაოები.

მარო გუჯეჯიანი (პ/ნ 62004013987) - საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ორსართულიან შენობას (ფოტო 83). შენობის ნაწილში მოწყობილია სარდაფი. მზიდი კედლები შესრულებულია ბაზალტის ქვის წყობით, სისქით 60-70 სმ. პირველი და მეორე სართულების იატაკების დონეებში მოწყობილი აქვს რკინაბეტონის სარტყელი. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით, ხოლო სარდაფის ზონაში გადახურვა რკინაბეტონისაა. სახურავი შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ვიზუალური დათვალიერებისას შენობას აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის ხარვეზები და დაზიანებები: მზიდ კედლებში გაჩენილია 0,2-2,2 სმ გახსნილობის დახრილი ზხარები (ფოტო 84-88); მზიდი კედლების ქვის წყობაში შემავსებლად გამოყენებულია დაბალი სიმტკიცის მასალა, რომელიც ადვილად იშლება და ვერ ასრულებს შემაკავშირებლისფუნქციას; პირველი სართულის იატაკის დანეზე მოწყობილი რკინაბეტონის სარტყელი მიწასთან კონტაქტის გამო დაზიანებულია (ფოტო 89-90); აივნის მონოლითური რკინაბეტონის ფილა მოცილებულია შენობის კედლიდან (ფოტო 91-92); შენობის გარშემო პერიმეტრზე დაზიანებულია ბეტონის შემონაკირწყელი (ფოტო 93); სახურავის ფენილი ლოკალურად დაზიანებულია და აპარებს წყალს. ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. საჭიროა შენობას ჩაუტარდეს დეტალური გამოკვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ჩაუტარდეს გამაგრება-გამლიერებითი სამუშაოები.

მერაბი ქალდანი (პ/ნ 62004018656) - საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ორსართულიან უსარდაფო შენობას. მზიდი კედლები



001992914

შესრულებულია ბაზალტის ქვის წყობით, სისქით 60-70 სმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. სახურავი შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ვიზუალური დათვალიერებისას შენობას აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის ხარვეზები და დაზიანებები: მზიდ კედლებში გაჩენილია 0,2-2,2 სმ გახსნილობის ბზარები (ფოტო 94-97); მზიდი კედლების ქვის წყობაში შემავსებლად გამოყენებულია დაბალი სიმტკიცის მასალა, რომელიც ადვილად იშლება და ვერ ასრულებს შემაკავშირებლის ფუნქციას; მზიდ კედლებზე არ არის მოწყობილი რკინაბეტონის სარტყელი; სახლის უკანა გრძივი კედელი გადახრილია და გამოსულია სიბრტყიდან. მეორე სართულზე გადახრილ კედელსა, იატაკს და განივ კედლებს შორის გახსნილია 2-3 სმ სიგანის ნაპრალები (ფოტო 98-100). ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია. საჭიროა შენობას ჩაუტარდეს დეტალური გამოკვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ჩაუტარდეს გამაგრება-გამლიერებითი სამუშაოები.

მარინა გიუაშვილი (პ/ნ 6200402533) - საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ორსართულიან უსარდაფო შენობას (ფოტო 101). მზიდი კედლები შესრულებულია ბაზალტის ქვის წყობით, სისქით 60-70 სმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. სახურავი შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ღია ვერანდა ამოშენებულია ბეტონის ბლოკებით (ფოტო 102). ვიზუალური დათვალიერებისას შენობას აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის ხარვეზები და დაზიანებები: მზიდ კედლებში გაჩენილია 0,2-2,2 სმ გახსნილობის ბზარები (ფოტო 103-105); მზიდი კედლების ქვის წყობაში შემავსებლად გამოყენებულია დაბალი სიმტკიცის მასალა, რომელიც ადვილად იშლება და ვერ ასრულებს შემაკავშირებლის ფუნქციას (ფოტო 106); მეორე სართულზე ხის იატაკი დახრილია და სიარულის დროს მკვეთრად იგრძნობა ვიბრაციები; სახლის უკანა გრძივი კედელი გადახრილია და გამოსულია სიბრტყიდან. მეორე სართულზე გადახრილი კედლისა და განივ კედლებს შორის გახსნილია 2-3 სმ სიგანის ნაპრალები (ფოტო 107-108). სახურავი ლოკალურად დაზიანებულია და აპარებს წყალს; შენობის გარშემო პერიმეტრზე არ არის მოწყობილი ბეტონის შემონაკირწყლი; ღიობებში ხის კარები და ფანჯრები ძნელად იღება და იკეტება; ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია. საჭიროა შენობას ჩაუტარდეს დეტალური გამოკვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ჩაუტარდეს გამაგრება-გამლიერებითი სამუშაოები.

ამრიგად, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში მდებარე მოქალაქე ელგუჯა დევდარიანი, ვალერი ცენდელიანი, იაშა მარგველიანი, ჯილდა კალანდია, მარო გუჯეჯიანი, მერაბი ქალდანი და მარინა გიუაშვილის საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია. საჭიროა შენობებს ჩაუტარდეს გამაგრებითი სამუშაოები წინასწარ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტების მიხედვით. იბრაგიმ ქოჩიანისა და ჯემალი გუჯეჯიანის საცხოვრებელი სახლები იმყოფებიან მწვავედ ავარიულ მდგომარეობაში და ესაჭიროება დაუყონებლივ გამაგრება-გამლიერებითი ღონისძიებების ჩატარება წინასწარ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით. გამლიერებითი სამუშაოების დასრულებამდე რეკომენდებულია მაცხოვრებელთა ევაკუაცია.

ალექსანდრე კაიფანჯიანი

**გამოყენებული მასალები**

1. CII-13-102-2003
2. სნწ პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" პნ. 01.01-09
3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი



001992914

ექსპერტის დასკვნა № 001992914

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია